პეტიცია
[redacted]

პეტიციის წარმდგენი პირის საკონტაქტო ინფორმაცია-ინიციატორი N1

სახელი	ალექსანდრე
გვარი	აბუსელიძე
მობილური ნომერი	[redacted]
პირადი ნომერი	[redacted]

პეტიციის წარმდგენი პირის საკონტაქტო ინფორმაცია-ინიციატორი N2

სახელი	ციური
გვარი	ვადაჭკორია
მობილური ნომერი	[redacted]
პირადი ნომერი	[redacted]

პეტიციის სახით წარსადგენი საკითხის დასახელება:

მოთხოვნა: ქალაქის ეკოლოგიური და სატრანსპორტო პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ ბათუმში ყოველი თვის ბოლო შაბათი გამოცხადდეს „ველო დღედ“

პეტიციის შინაარსი და მიზანი:

მოგეხსენებათ, რომ ველოსიპედი არის ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც ფართოდ მოიხმარენ სხვადასხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში. ქალაქ ბათუმს გააჩნია ყველა ის რესურსი, რომ ველომოყვარულმა თავისუფლად შეძლოს გადაადგილება, ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება, რომ სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო პოპულარული გახდეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ველო დღის დაწესება და ველოსიპედის პოპულარიზაცია დიდ სარგებელს მოუტანს, როგორც ქალაქს, ასევე მოსახლეობას, მაგალითისთვის: 1) ველოსიპედით გადაადგილება ხელს შეუწყობს ჯანსაღ ცხოვრებას; 2) ნაკლები ხარჯი-საკუთარი ველოსიპედით გადაადგილება დაზოგავს სატრანსპორტო ხარჯებს; 3) გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა; 4) ყველაზე მთავარი-ქალაქი შესაძლოა განიტვირთოს საცობებისგან, აქვე აღვნიშნავთ - სატრანსპორტო გადაადგილების

09.02.13 / 76
18
13 02 2024

თვალსაზრისით, რთული მდგომარეობა იქმნება - დილის, შუადღის და საღამოს პიკის საათების პერიოდში (განსაკუთრებით უამინდობის დროს...), რაც ძირითადად გამოწვეულია 3 უმნიშვნელოვანესი სექტორის, მიზნობრივი ჯგუფების/აუდიტორიის ფუნქციონირებასთან:

1. მუნიციპალური/კერძო ბაღები - აუდიტორია ± 8 500 აღსაზრდელის ფარგლებში;
2. საჯარო /კერძო სკოლები - აუდიტორია ± 32 000 მოსწავლის ფარგლებში;
3. საჯარო სამსახურების / კერძო სექტორი - აუდიტორია ± 45 000 დასაქმებულის ფარგლებში.

განსაკუთრებული დატვირთვა/"დინება" მოდის პიკის საათებში, რადგან ბაღებში, სკოლებში და საჯარო სამსახურებში თუ კერძო სექტორში, გამოცხადება-დასრულების დროები ძირითადად, ემთხვევა. შესაბამისად, ± 60 000 ადამიანი (მეტ-ნაკლებად) ერთდროულად გადაადგილდება ქალაქში, დროის სწორედ ამ მონაკვეთში (პიკის საათებში და განსაკუთრებით - უამინდობის პირობებში..), რაც განაპირობებს მოძრაობის „გადატვირთვას", საცობებს და გამომდინარე სერიოზულ პრობლემებს, სოციალურ უკმაყოფილებას-სწორედ ამიტომ ველოსიპედის მოხმარება კარგ ამინდში, განტვირთავს ქალაქს საცობებისგან. მსგავსად ევროპული ქალაქებისა-ბათუმსაც გააჩნია პერსპექტივა იქცეს ველოსიპედის მოხმარების კუთხით ერთ-ერთ სამაგალითო ქალაქდ მთელს საქართველოში, სამოყვარულო ჯგუფები საკუთარი ინიციატივით გამართავენ ველომარათონებს, დარიგდება საინფორმაციო ფლაერები და ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულის ინიციატივა იქნება წარმატებული და გავა დიდ შედეგებზე.

დამატებითი ინფორმაცია:

აღნიშნული ინიციატივის განხორციელებაში ჩართულია ქალაქ ბათუმის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომელმაც საინიციატივო ჯგუფის, კერძოდ, სკოლა ნიკეს მოსწავლეთა თხოვნითა და ქალაქ ბათუმის მერიის დაფინანსებით ჩაატარა ველომარათონი და უსასყიდლოდ გადასცა ჯგუფს ფლაერები საინფორმაციო კამპანიისთვის.

ხელმოწერა:

[redacted]